

სკოლა: თბილისის 83-ე საჯარო სკოლა

- I. **გაკვეთილის სათაური** „მოუთმენლობის მსხვერპლი“ ი.გოგებაშვილი
- II. **კლასი** III
- საგანი** ქართული ენა

სასწავლო მიზნები: თემის შესწავლის შემდეგ მოსწავლეები შეძლებენ მოცემულ თემასთან დაკავშირებით ამოკრიბონ საჭირო ინფორმაცია ტელეგადაცემიდან, დააკავშირონ ერთმანეთთან წაკითხული და მოსმენილი; თავად დაწერონ რეკომენდაციები და გაფრთხილება თანატოლთათვის და გაავრცელონ.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან:

ქართ.დაწყ.(I).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა.

- ისმენს და ამოიცნობს პრაგმატული ტექსტების ადრესატს (მაგ., ვისთვისაა განკუთვნილი რეკლამა - დიდებისთვის თუ პატარებისთვის) და მიზანს (გაფრთხილება, რჩევის მიცემა, აკრძალვა, ინტერესის/სურვილის აღმგრა და სხვ.);

ქართ.დაწყ.(I).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს

პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის თემის, მასში განხილული საკითხების მიმართ; მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟ(ებ)ის, მისი/მათი ქცევის შეფასება და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა.

- ავლებს პარალელს მოსმენილ ტექსტში ასახულ ამბავსა და პირად/ლიტერატურულ გამოცდილებას შორის;
- აღწერს და ახასიათებს პერსონაჟებს თვალსაჩინო ნიშნების მიხედვით;

ქართ.დაწყ.(I).13. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის მარტივი ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე.

- წერს ინსტრუქციებს, გასაგებად წარმოადგენს საჭირო ინფორმაციას;

მედიაწიგნიერების მიზნები:

- მოუსმინოს ნაწყვეტს სატელევიზიო გადაცემიდან, შეძლოს ინფორმაციის გაგება-გააზრება და კრიტიკული შეფასება;
- ახალი ინფორმაციის გასავრცელებლად შექმნას პოსტერი;
- ინფორმაციის სანდოობის გარკვევა.

უცხო სიტყვათა ლექსიკონი

მოუთმენლობის მსხვერპლი– აქ: მოუთმენლობის შედეგად საკუთარ თავს ავნო;

სარბენი ბილიკი–მოწყობილობა, რომელზეც შეიძლება სირბილი სხვადასხვა სიჩქარით (იყენებენ სპორტულ დარბაზებში);

დაეწაფა– ხარბად, სულმოუთქმელად სვამდა.


გაკვეთილის მიმდინარეობა

აქტივობა 1.

შესავალი: მიზნებისა და თემის გაცნობა

მასწავლებელი გააცნობს მოსწავლეებს გაკვეთილის თემას და მიზნებს

აქტივობა 2.



მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს წაიკითხონ სათაური.

უსვამს მოსწავლეებს შეკითხვას:

კითხვა: როგორ გესმით

„მოუთმენლობის მსხვერპლი“?

სავარაუდო პასუხი: როდესაც

ადამიანი ვერ ითმენს, ამის გამო საქმე

კარგად ვერ გამოსდის.

მასწავლებელი მოსწავლეებს

უკითხავს ტექსტს, შემდეგ

მოსწავლეები გააგრძელებენ კითხვას.

მნიშვნელოვანია მასწავლებელმა

შეამოწმოს, როგორ გაიგეს

მოსწავლეებმა ტექსტი.

მოსწავლეების სამუშაო ფურცელი:

მოსწავლეებმა შესაძლოა ეს დავალება შეასრულონ ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფებში.

კითხვა	სავარაუდო პასუხი
რამდენი გმირია მოთხრობაში?	სამი დაღლილი გმირი
როგორ მოიქცა პირველი გმირი?	დაღლილი მოუთმენლად დაეწაფა ცივ წყალს და წამოწვა.
როგორ მოიქცა მეორე გმირი?	ვერ მოითმინა, დაღლილმა დალია წყალი და გაიარ-გამოიარა.
როგორ მოიქცა მესამე გმირი?	ვერ მოითმინა, დაღლილმა დალია წყალი და გაიარ-გამოიარა.

ისრით შეუსაბამეთ მოთხრობის გმირის საქციელი შედეგს

გმირის საქციელი	შედეგი
პირველი გმირი—დაღლილი მოუთმენლად დაეწაფა ცივ წყალს და წამოწვა.	მგზავრი თავს კარგად გრძნობდა.
მეორე გმირი —ვერ მოითმინა, დაღლილმა დალია წყალი და გაიარ—გამოიარა.	ფილტვების ანთება დაემართა და ძლივს გადაურჩა სიკვდილს.
მესამე გმირი —ჯერ დაისვენა და მერე დალია წყალი.	მგზავრიც ძალიან ცუდად გახდა.

მასწავლებელი დასვამს კითხვას:

კითხვა: რომელ მგზავრს შეექმნა პრობლემა? რა იყო მიზეზი?

სავარაუდო პასუხი: პრობლემა შეექმნათ მეორე და მესამე მგზავრებს, რადგან მათ ვერ მოითმინეს და დაღლილებმა დალიეს წყალი.

კითხვა: როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი როდესაც დაღლილია და წყალი სწყურია?

სავარაუდო პასუხი: უნდა დაისვენოს და წყალი შემდეგ დალიოს.

აქტივობა 3.

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს წინასწარ მომზადებულ პრეზენტაციას, რომელშიც მოცემულია სატელევიზიო გადაცემიდან სხვადასხვა ნაწილები და მნიშვნელოვანი შეკითხვები.



ვიდეოში ნაჩვენებია ნაწყვეტები გადაცემიდან „[ექიმები](#)“, რომელშიც ექიმები საუბრობენ სასმელი წყლის მნიშვნელობაზე და სასარგებლო თვისებებზე. გვიჩვენებს როდის და რა რაოდენობის წყალი უნდა მიიღოს ბავშვმა მთელი დღის განმავლობაში. წყლის რა რაოდენობაა საჭირო ზრდასრულთათვის. მოსწავლეები მოუსმენენ სატელევიზიო გადაცემის ნაწყვეტებს სამ ნაწილად.

თითოეული ნაწილის ჩვენების შემდეგ მასწავლებელი უსვამს კითხვებს. მოსწავლეები პასუხობენ. მოჰყავთ არგუმენტები.

კითხვები	სავარაუდო პასუხები
პირველი ნაწილი	
საჭიროა თუ არა ვარჯიშის დროს წყლის დალევა?	ვარჯიშის დროს წყლის დალევა აუცილებელია
რა არის საჭირო ჯანმრთელი კუნთებისთვის?	ჯანმრთელი კუნთებისთვის აუცილებელია წყლის მიღება
მეორე ნაწილი	
რა რაოდენობით წყლის მიღებაა საჭირო დღის განმავლობაში ბავშვებისთვის ?	1. 4-8 ჭიქა წყალი
რა რაოდენობით წყლის მიღებაა საჭირო დღის განმავლობაში ზრდასრულებისათვის?	2-3 ლიტრი წყალი
როგორ გრძნობს თავს ბავშვი თუ მას აკლია წყალი?	ბავშვები ასეთ დროს თავს გრძნობენ სუსტად, სტკივით თავი, არიან მოთენთილები, ადვილად იღლებიან.
მესამე ნაწილი	
როგორ დავლიოთ წყალი სპორტული დატვირთვის შემდეგ?	არ არის სასურველი წყლის დალევა ერთბაშად
როგორ მივიღოთ წყალი მთელი დღის განმავლობაში?	მთელი დღის განმავლობაში წყლის დალევა აუცილებელია გადანაწილებულად, ნელ-ნელა.

აქტივობა 4 ინფორმაციის სანდოობა

ექიმების გადაცემა და იაკობ გოგებაშვილის მოთხრობაში არსებული ინფორმაცია ერთმანეთს არ ემთხვევა. მოთხრობაში წერია, რომ როდესაც ადამიანი დაღლილია, ჯერ უნდა დაისვენოს, შემდეგ კი დალიოს. ექიმების დისკუსიაში კი ნათქვამია, რომ:

- ფიზიკური დატვირთვის დროს ადამიანმა თანდათანობით უნდა დალიოს წყალი;
- არ არის აუცილებელი ადამიანმა ფიზიკური დატვირთვის დასრულების შემდეგ დალიოს წყალი, მან წყლის რაოდენობა უნდა გადანაწილოს.

სანდოობის დასამტკიცებლად მასწავლებელი გაამახვილებინებს ყურადღებას გადაცემის იმ მონაკვეთზე სადაც ექიმები საუბრობენ წყლის მიღების აუცილებლობაზე.

მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს მედიაწიგნიერების ძირითად კითხვებს:

მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები და სავარაუდო პასუხები:

კითხვები	სავარაუდო პასუხები
რომელმა არხმა მოამზადა გადაცემა “ექიმები”? რა მიზნით?	„რუსთავი2“
ვინ მონაწილეობს გადაცემაში?	ბავშვისა და ზრდასრულების ექიმები;
სანდოა თუ არა ამ გადაცემიდან მიღებული ინფორმაცია?	დიახ, რადგან გამოცდილი ექიმები მონაწილეობენ;
ვინ შეიძლება გამოიყენოს ამ გადაცემაში ექიმების მიერ მოწოდებული ინფორმაცია?	ბავშვებმა და უფროსებმა;
რა შეიძლება გავაკეთოთ ჩვენ ამ ინფორმაციის გაგების შემდეგ	გავითვალისწინო და სხვებსაც ვასწავლოთ

ამ აქტივობის შემდეგ აუცილებელია მასწავლებელმა კლასში დასვას შემაჯამებელი კითხვა:

- როდესაც ადამიანი შრომობს, ვარჯიშობს, ან თამაშით ერთობა, როდის უნდა დალიოს წყალი?

დისკუსიის მსვლელობისას მნიშვნელოვანია მასწავლებელმა მოსწავლეებს დაუსვას დამაზუსტებელი კითხვები, მაგალითად: თამაშის დროს შეიძლება დალიოს წყალი? თამაშს რომ მორჩება ბავშვი, მაშინვე უნდა დალიოს წყალი?

აქტივობა 4.

შეჯამება: საინფორმაციო პოსტერის დამზადება. პოსტერზე განთავსდება ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:

- შეიძლება თუ არა დადლილზე წყლის დაღევა;
- შეიძლება თუ არა ვარჯიშის დროს წყლის დაღევა;
- როგორ დავლიოთ წყალი სპორტული დატვირთვის შემდეგ;
- როგორ გრძნობს თავს ბავშვი, თუ მას აკლია წყალი;
- რა რაოდენობის წყალია საჭირო ბავშვებისათვის მთელი დღის განმავლობაში;
- როგორ მივიღოთ წყალი მთელი დღის განმავლობაში.

გთავაზობთ, მასალას რომელიც შეიძლება ამოებეჭდოთ, დაურიგოთ ბავშვებს. ბავშვები დაწერენ რეკომენდაციებს, დააკრავენ პოსტერზე.

მნიშვნელოვანია ასევე პოსტერის გაზიარებაც. პოსტერი შეიძლება ბავშვებმა გააკრან დერეფანში.

პორტერისთვის საჭირო მასალები

შეიძლება თუ არა დაიღაღაოთ წყლის დაღვრა? 	შეიძლება თუ არა ვარჯიშის დროს წყლის დაღვრა? 	როგორ დაელოდოთ წყალი საპირტუბო დატეროვის შემდეგ? 
როგორ გასწავლოს თავის ზეგო, თუ მას კლიმატი? 	რა რაოდენობით წყალი უნდა მიიღოს ზაფხულში მთელი დღის განმავლობაში?  	როგორ მივიღოთ წყალი მოვლის დღის განმავლობაში? 

სასურველია მასწავლებელმა შეაფასოს ჯგუფის ნამუშევარი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით

- ✓ თავი მოუყარეს და ჩამოწერეს კონკრეტული ინფორმაცია;
- ✓ დაიცვეს დროის ლიმიტი;
- ✓ განაწილეს სამუშაო თანაბად;
- ✓ შეადგინეს ტექსტი პოსტერისთვის.

გამოყენებული მულტიმედია რესურსები:

საწყისი ბმული: <https://goo.gl/sxgWJY>

სატელევიზიო გადაცემის საფუძველზე მომზადებული ბმული: <https://goo.gl/Be4kR7>

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011 – 2016, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
2. მასწავლებლის წიგნის „გამჭოლი კომპეტენციები, ეკოლოგიური, სემიოტიკური და მედიაწიგნიერება“, მანანა რატიანი, მანანა სეხნიაშვილი, მაია ბლიაძე, ცირა ბარბაქაძე, ნატალია ინგოროყვა, თამარ მოსიაშვილი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2015;
3. ი. გოგებაშვილის „მოუთმენლობის მსხვერპლი“